საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 129/ι

2009 წ. „30" 12

ქ. თბილისი

შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტისათვის ინსტიტუციური აკრედიტაციის
მინიჭებისა და სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №222 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დებულების მე-7² მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 ნოემბრის №1030 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ამავე ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის №17 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ქართულ - ამერიკულ უნივერსიტეტს მიენიჭოს ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით და სტუდენტების ადგილების რაოდენობა განისაზღვროს 1029-ით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2009 წლის 30 დეკემბრის №17 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე
ლია ღლონტი